

**„პათოლოგიური ანატომია - კლინიკური პათოლოგია“**

**1. სპეციალობის დასახელება** - „პათოლოგიური ანატომია - კლინიკური პათოლოგია“.

**2. სპეციალობის შინაარსი:**

„პათოლოგიური ანატომია - კლინიკური პათოლოგია“ არის მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის დაავადებათა მაკრომორფოლოგიურ და მიკრომორფოლოგიურ დიაგნოსტიკას (ციტოლოგიური, ჰისტოლოგიური, იმუნოჰისტოქიმიური და მოლეკულურ-ბიოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებით) ცოცხალი ორგანიზმიდან აღებული ნაცხის, ბიოფსიური და ოპერაციული მასალების, ასევე, გვამიდან (აუტოფსიის გზით) მიღებული მასალის შესწავლის საშუალებით.

**3. ზოგადი ცოდნა:**

ა) ზოგადი პათოლოგიური პროცესები: დაზიანება, ნეკროზი, ჰემოდინამიკის დარღვევა, ანთება, იმუნოპათოლოგიური პროცესები, სიმსივნეები, გარემოს ზემოქმედებით გამოწვეული დაზიანება, ინფექციური და გენეტიკური დაავადებების მაკროსკოპული და მიკროსკოპული დიაგნოსტიკა;

ბ) სისხლის სისტემის დაავადებების ეტიოლოგია, პათოგენეზი, მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

გ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

დ) გასტრო-ინტესტინური ტრაქტის დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

ე) ღვიძლის, ბილიარული სისტემისა და პანკრეასის დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

ვ) სასუნთქი სისტემის დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

ზ) საშარდე სისტემის დაავადებების მაკროსკოპული და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

თ) სასქესო სისტემის დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

ი) ძუძუს პათოლოგიების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

კ) კანის დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

ლ) რბილი ქსოვილების დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

მ) ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

ნ) კისრისა და თავის მიდამოს დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

ო) ენდოკრინული სისტემის დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

პ) ცენტრალური და პერიფერული ნერვული სისტემის დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

ჟ) თვალისა და ყურის დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

რ) ორსულთა, ახალშობილთა და ბავშვთა დაავადებების მაკროსკოპული შეფასება და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა;

ს) ზრდასრულთა აუტოფსიური მასალის დიაგნოსტიკა;

ტ) მკვდრადშობილთა, ახალშობილთა, ბავშვთა და მოზარდთა აუტოფსიური მასალის დიაგნოსტიკა;

უ) კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემების ანალიზი.

4. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმ-პათოლოგანატომ-კლინიკურ პათოლოგს შეუძლია კლინიკო-ლაბორატორიული და რადიოლოგიური გამოკვლევების ინტერპრეტაცია;

ბ) ექიმ-პათოლოგანატომ-კლინიკურ პათოლოგს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

ბ. ა) აუტოფსია;

ბ.ბ) სხვადასხვა ორგანოდან და ქსოვილიდან მიღებული მასალის მაკროანატომიური დიაგნოსტიკა;

ბ.გ) სხვადასხვა ორგანოდან და ქსოვილიდან მიღებული მასალის მიკროანატომიური დიაგნოსტიკა;

ბ.დ) სხვადასხვა ორგანოდან და ქსოვილებიდან მიღებული მასალის ციტოლოპათოლოგიური დიაგნოსტიკა;

ბ.ე) სხვადასხვა ორგანოდან და ქსოვილიდან მიღებული მასალის  
იმუნოჰისტოქიმიური და მოლეკულურ-პათოლოგიური დიაგნოსტიკა.